

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი №29

კასპი

2016 წლის 14 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე- მანუჩარ მერებაშვილი

საკრებულოს ბიუროს წევრები- შ. ბეგლარაშვილი, ი. ქამხაძე, ზ. ჩიტიშვილი, ზ. ჩადუნელი, ხ. თათანაშვილი, ნ. მიდელაშვილი, ო. ჭეიშვილი;

სხდომაზე მოწვეული დამსწრე პირები: რ. მაზმიშვილი-გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დ. დავითაშვილი-ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნ. ნატროშვილი- ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, თ. ხორბალაძე-კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. „კასპის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
2. „კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით „კასპის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მოისმინეს ზ. ჩიტიშვილის მოხსენება.

მ.მერებაშვილმა განაცხადა, რომ რადგან ამა თუ იმ დაავადებებზე მომართვიანობა ძალიან დიდია სოციალური პაკეტი გავზარდოთ, რაც შეიძლება მაქსიმალურად მაღალი თანხით.

მ. მერებაშვილი დაინტერესდა რა ხდება სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით? ვინც ვერ ასწრებს პროექტების შესრულებას რა სანქციები ტარდება?

ნ. ნატროშვილმა უპასუხა, რომ სოფლის პროგრამების შესრულების ძალიან დაბალი მაჩვენებელი გვაქვს. პატარ-პატარა პროექტებს ვწვდებით და ვაგვარებთ, დიდ პროექტებს ვერ ვწვდებით მცირე თანხებით. ვინც ვერ ასწრებს პროექტის შესრულებას ჯარიმდება და შეგვეყვავს შავ სიაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით „კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტეს:

მომხრე- 8 ხმა

წინააღმდეგი- არავინ

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ მოისმინეს ზ. ჩიტაშვილის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტეს:

მომხრე- 8 ხმა

წინააღმდეგი- არავინ

ამით საკრებულოს ბიუროს სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარე

მანუჩარ მერებაშვილი:

